თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

კაცი და ქარი

იმ ქალაქში ქარი იცოდა ძალიან ხშირად. მოქალაქენი თავჩაღუნული დადიოდნენ და ხელი ქუდზე ეკიდათ. დედები პატარა ბავშვებს შიშით გარეთ არ უშვებდნენ. ქარი მხოლოდ იმ გოგო-ბიჭებს უხაროდათ, რომლებიც უკვე სკოლაში დადიოდნენ. ასეთი რამ მოიგონეს გასართობად: გამოვიდოდნენ ქუჩაში, ქარს ზურგს მიუშვერდნენ და უკან ისე გადაწვებოდნენ, თითქოს ზედ ეყუდებიანო. მიაწვებოდა ქარი და წაიყვანდა ბავშვებს. მაგრამ ეს გართობაც მალე ბეზრდებოდათ.

ერთ ქარიან დილით კი ვიღაც უცნაური ახალგაზრდა გამოვიდა ქუჩაში. მთელი მისი უცნაურობა ის იყო, რომ თავაწეული მოდიოდა და არც ხელი ეკიდა ქუდზე. ოციოდე ნაბიჯის გადადგმა მოასწრო და ქარმა მოსტაცა ქუდი. გამოუდგა კაცი ქურდს, დაიჭირა, დაიხურა და კვლავ წავიდა ქარის საპირისპიროდ. მაგრამ კვლავ მოხადა ქარმა ქუდი და გააქანა უფრო სწრაფად. გაეკიდა კაცი... ასე ჩავიდა ქალაქის ბოლომდე... მერე ვიღაცას ენახა, როგორ მირბოდა კაცი შორს, შარაგზაზე, მის წინ კი ქუდი მიქროდა...

ქარი ჩადგა და რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა კაცი ქალაქში, დაღლილი და მტვერში ამოსვრილი. ძალიან სასაცილო ამბავი მოხდაო, უყვებოდნენ ერთმანეთს მოქალაქენი.

დიდი დრო არ გასულა, რომ კვლავ ამოვარდა ქარი. კვლავ გამოვიდა ის კაცი ქუჩაში და რამდენჯერმე კიდევ რომ განმეორდა ეს ამბავი, მოქალაქეები მიხვდნენ: კაცს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ასე ედევნა ქუდისთვის. და დაასკვნეს: ძალიან უცნაური ამბავიაო. რაღას არ უგონებდნენ. ერთი ამბობდა, ჩემპიონობა უნდა და სირბილში ვარჯიშობსო, მეორე ედავებოდა, ჩემპიონობა კი არა, წონის დაკლება უნდაო… და მეტად უცნაური შედეგი მოჰყვა ყველაფერ ამას... უცებ მთელი ქალაქი ქუდების დევნას შეუდგა. ვინ იცის, რატომ მოხდა ასე. იქნებ ეგონათ, თუ თვითონაც გაეკიდებოდნენ საკუთარ ქუდს, მაშინ უფრო მიხვდებოდნენ იმ კაცის საიდუმლოს.

LIVEWORKSHEETS

მოქალაქენი მართლა კი არ დასდევდნენ ქუდებს, უბრალოდ, დევნას თამაშობდნენ. ყველა მათგანს ქუდზე ჰქონდა გამობმული მსხვილი, მაგარი ძაფი, რომელიც კოჭზე იყო დახვეული. ქარი ქუდს რომ მოიტაცებდა, მოქალაქე აუჩქარებლად გამოუდგებოდა.

რა უნდა ექნა იმ კაცს, ნაღვლიანად ეღიმებოდა და განაგრძობდა ქუდის დევნას. მხოლოდ ბავშვები დასდევდნენ ქუდებს ნამდვილად. ეს დევნა მათთვისაც თამაში იყო, მაგრამ ქუდზე ძაფის მობმით სულ კარგავდა ლაზათს. ეტყობა, ბავშვები გრძნობდნენ, რომ ის ძაფი რაღაცით ტყუილს უკავშირდებოდა. ბავშვებს მხოლოდ პატიოსანი თამაში უყვართ.

დასდევდნენ ბავშვები ქუდებს, ზოგი ეცემოდა და მუხლებს იტყავებდა, ზოგი ოფლიანდებოდა და ავად ხდებოდა...

მშობლებმა გადაწყვიტეს, რამენაირად მოეშლევინებინათ კაცისთვის მისი უცნაური ქცევა. მაგრამ როგორც უცებ მოედო, ისევ უცებ გადაუარა ქალაქს ქუდების დევნის სურვილმა. ეტყობა, ვერაფერი საიდუმლო ვერ ამოიცნეს მოქალაქეებმა და ერთხმად დაასკვნეს: სისულელეაო. და ქალაქში ისევ ის კაციღა დარჩა ქუდის მადევარი.

დასდევდა კაცი ქუდს ზამთარ-ზაფხულ... დრო გადიოდა...

ერთხელ კი, გაზაფხულის დილით, კვლავ რომ ამოვარდა ქარი, კაცი გამოვიდა თავისი სახლიდან. ქუდი ხელში ეჭირა. გავიდა ქუჩაში, დაიხურა ქუდი და... ჩადგა ქარი! ქუდი კოხტად გადაიწია გვერდზე... სასიამოვნოდ დაუბერა ნიავმა. კაცმა გაუღიმა ყველას და წავიდა.

მოქალაქეები სახტად დარჩნენ... გაჩერდნენ. ყველამ თვალი გააყოლა კაცს, რომელმაც ქარი დაიმორჩილა.

მიდიოდა კაცი. მყუდრო ქუჩაზე ერთ ეზოში შევიდა. ამ სახლში ერთი ლამაზი ქალიშვილი ცხოვრობდა.

კაცის საიდუმლო სულ ეს იყო. იმისთვის აჯობა ქარს, რომ თვითონ როცა მოესურვებოდა, მაშინ დაებერა ნიავს. კაცს უყვარდა ცქერა, იმ ლამაზ ქალიშვილს როგორ ურხევდა კულულებს ნიავი. ელოდა კაცი... ბოლოს გაიღო კარი და სანდომიანი შესახედაობის მოხუცი ქალი გამოვიდა. კაცმა ამ სახლში მცხოვრები ქალიშვილის სახელი უთხრა, თუ შეიძლება, დაუძახეთო.

- ეგეთი სახელი ამ სახლში მხოლოდ მე მქვიაო, - გაიღიმა მოხუცმა ქალმა.

მერე დააკვირდა კაცს და უთხრა: - ეს შენა ხარ?

LIVEWORKSHEETS

კაცი რაღაცას მიხვდა.

კიბის გვერდით საწვიმარი მილის ქვეშ კრიალა წყლით სავსე კასრი იდგა. ჩაიხედა კაცმა წყალში და დაინახა, რომ თვითონაც გასთეთრებოდა თმა.

- კიდევ დასდევ ქუდს? - ჰკითხა მოხუცმა ქალმა.
- არა, დღეიდან აღარ დავდევ, - უპასუხა კაცმა და ქუდი მოიხადა.

დაუბერა ქარმა მძლავრად და შეარხია აყვავებული იასამნის ბუჩქები.

იდგნენ ერთმანეთის პირისპირ თავდახრილები... დუმდნენ...

ორივემ იცოდა: თავი რომ აეწიათ, ერთმანეთს ცრემლებს დაუნახავდნენ თვალებში.

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. როგორი ქალაქის ამბავს მოგვითხრობს ეს ზღაპარი?

ა) რომელშიც მხოლოდ მხიარული ბავშვები ცხოვრობდნენ.
ბ) რომელშიც სულ ძლიერი ქარი ქროდა.
გ) რომელშიც ქარი ძალიან უყვარდათ.

2. რატომ უხაროდათ ქარი მხოლოდ გოგო-ბიჭებს?

ა) ქარიან ამინდში მშობლები სკოლაში არ უშვებდნენ.
ბ) ქარიან ამინდში უცნაური კაცის ცქერა ართობდათ.
გ) ქარი თავისთავად მიარბენინებდა მათ სკოლისაკენ.

3. რით მიიქცია ერთმა კაცმა მოქალაქეთა ყურადღება?

ა) დაღლილი და მტვერში ამოსვრილი დადიოდა.
ბ) თავაწეული მიდიოდა და ქუდზე ხელი არ ეკიდა.
გ) ძალიან ახალგაზრდა იყო და სწრაფად გარბოდა.

4. „ქალაქის ბოლომდე ჩავიდა კაცი და ქალაქგარეთაც გაიყვანა ქარმა... მერე ვიღაცას ენახა, როგორ მირბოდა კაცი შორს, შარაგზაზე, მის წინ კი ქუდი მიქროდა...“ კაცის რა თვისება ჩანს ამ ეპიზოდიდან?

ა) სიმამაცე. ბ) ქარაფშუტობა. გ) შეუდრეკლობა.

LIVEWORKSHEETS

5. რატომ გამოაბეს მოქალაქეებმა ქუდებს ძაფები?

ა) ეგონათ, ამით რამენაირად მოაშლევინებდნენ კაცს უცნაურ ქცევას.
ბ) საიდუმლოს ამოხსნა სურდათ, მაგრამ ამისთვის თავს დიდად არ იწუხებდნენ.
გ) სურდათ, რომ ბავშვებსაც მიებაძათ მათთვის და გართობილიყვნენ.

6. რატომ ეღიმებოდა კაცს ნაღვლიანად, როცა კოჭზე ძაფით გამობმული ქუდების მადევარ მოქალაქეებს ხედავდა?

ა) იცოდა, რომ მათ ქუდის დევნა მალე მობეზრდებოდათ.
ბ) წუხდა, რომ მიბაძვა სასაცილო მდგომარეობაში აგდებდა მათ.
გ) ხვდებოდა, რომ მათ არ ესმოდათ ქუდის დევნის ნამდვილი აზრი.

7. რაზე ამახვილებს ავტორი ყურადღებას სიტყვებით: „ბავშვები გრძნობდნენ, რომ ის ძაფი რაღაცით ტყუილს უკავშირდებოდა“?

ა) ბავშვების გულწრფელობასა და პატიოსნებაზე.
ბ) ბავშვების ლაზათიანად თამაშის უნარზე.
გ) ბავშვების მიმბაძველობის ნიჭზე.

8. რატომ გადაწყვიტეს მშობლებმა რამენაირად მოეშლევინებინათ კაცისთვის მისი უცნაური ქცევა?

ა) რადგან ბავშვები ქუდების დევნაში მხოლოდ ზარალდებოდნენ.
ბ) რადგან თავიანთი გართობა-თამაშით საიდუმლო ვერ ამოიცნეს.
გ) რადგან კაცის მიერ ქუდის დევნა საბოლოოდ სისულელედ შეაფასეს.

9. რა სასწაული იხილეს ერთ დღეს მოქალაქეებმა?

ა) გაზაფხულის ერთ დღეს ძლიერად დაუბერა ქარმა.
ბ) კაცის თავზე ქუდი თავისით გადაიწია გვერდზე.
გ) ქუდის მადევარმა კაცმა ქარი დაიმორჩილა.

10. „ეს დევნა მათთვისაც თამაში იყო, მაგრამ ქუდზე ძაფის მობმით სულ კარგავდა <u>ლაზათს</u>.“ რას ნიშნავს წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა?

ა) იდუმალებას. ბ) ინტერესს. გ) მომხიბვლელობას.

LIVEWORKSHEETS

11. „მოქალაქეები <u>სახტად დარჩნენ</u>...“. ხაზგასმული ფრაზეოლოგიური გამოთქმა ნიშნავს:

ა) გაბრაზდნენ. ბ) გამხიარულდნენ. გ) გაოცდნენ.

12. როგორ იგებს მკითხველი კაცის ქცევის ნამდვილ მიზეზს?

ა) თავად ავტორი საუბრობს ამის შესახებ.

ბ) მთავარი პერსონაჟი საუბრობს ამის შესახებ.

გ) მოთხრობის მოქმედი პირები ამოიცნობენ საიდუმლოს.

13. რომელი წინადადებიდან ჩანს, რომ კაცს დიდი დრო დასჭირდა ქარის დასამორჩილებლად?

ა) „გამოუდგა კაცი ქუდს, დაიჭირა, დაიხურა და კვლავ წავიდა ქარის საპირისპიროდ“.

ბ) „რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა კაცი ქალაქში, დაღლილი და მტვერში ამოსვრილი“.

გ) „ჩაიხედა კაცმა წყალში და დაინახა, რომ თვითონაც გასთეთრებოდა თმა“.

14. რას გამოხატავს მოხუცების თვალებზე მომდგარი ცრემლები?

ა) გაკვირვებას დროის სწრაფად გასვლის გამო.

ბ) გაოცებას ქარის დამორჩილების გამო.

გ) სინანულს დაკარგული წლების გამო.

15. რა არის ამ ზღაპრის მთავარი სათქმელი?

ა) მიზანს მხოლოდ შეუპოვრები აღწევენ.

ბ) ოცნება აკეთილშობილებს ადამიანს.

გ) სხვისი მიბაძვა სიკეთეს არავის მოუტანს.

LIVEWORKSHEETS